შპს „პონტიკა" ინსპექტირების ორგანო
ს/კ 402073448
მისამართი:
ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის №183/185
ტელ.: +995555295558
Email: abuashvili.lala@gmail.com

GAC – IB – 0306
სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013

ქ. თბილისში, კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა #10 და #10ბ-ში (ყოფილი საშენ მასალათა ინსტიტუტი) არსებული შენობების რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის (ფუძეებზე, საძირკვლებზე და სხვა ძირითად კონსტრუქციებზე) მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირების ანგარიში

№ PC 1811/11.11.2021

მომსახურეობის სფერო: სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობის, ნაგებობის, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების) ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.

ინსპექტირების დაწყების თარიღი: 27.10.2021

ინსპექტირების დასრულების თარიღი: 10.11.2021

დამკვეთი: „არქიფექტორი" ს/კ 402175819

საფუძველი: ხელშეკრულება N: 468/10-21; განაცხადი

შემსრულებელი ექსპერტი და შემსრულებლის კვალიფიკაცია: რამაზ აფხაძე. უმაღლესი განათლებით ინჟინერ–მშენებელი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის კვალიფიკაციით. სპეციალობით მუშაობის 34 წლის სტაჟით

სპეციალისტის წინაშე დასმული ამოცანა:

ქ. თბილისში, კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა #10 და #10ბ-ში (ყოფილი საშენ მასალათა ინსტიტუტი) არსებული შენობების რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება

წარმოდგენილი მასალები:

- ✓ქ. თბილისში, კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა #10 (ყოფილი საშენ მასალათა ინსტიტუტი) არსებული შენობების რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი
- ✓ქ. თბილისში, კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა #10 (ყოფილი საშენ მასალათა ინსტიტუტი) არსებული შენობების რეკონსტრუქციის პროექტის არქიტექტურული ნაწილი
- ✓„თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. #10, #10ბ, ს/კ 01.14.03.042.198, 01.14.03.042.171, ორი სამსართულიანი, ერთი ხუთსართულიანი და ერთი ერთსართულიანი შენობების რეკონსტრუქცია მშენებლობა. საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში“

კვლევაში გამოყენებული ლიტერატურა:

- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები – ,, სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01 – 09).
- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები - „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08).
- ✓ СП 13-102-2003 ,,ნაგებობების და შენობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები”.
- ✓ ს.ნ. და წ. “ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები” (პნ 03.01-09);
- ✓ ს. ნ. და წ - II – 28 – 73* და სნ. - წ - 2.03.11.85 ,,სამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან.“;
- ✓ „Лира-САПР“ პროგრამული კომპლექსი;
- ✓ ინსპექტირების პროცედურა PNT/IB/IP-7.1-21-03-A44

გამოკვლევა

შპს „არქიფექტორი“-სთან (ID ნომერი: 402175819) დადებული ხელშეკრულების თანახმად ექსპერტიზა ჩაუტარდა ქ. თბილისში, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. #10 და #10ბ-ში, სს „საქსაშენმეცნიერება“ (ID ნომერი: 204852070) და შპს „მეცნიერება“-ს (ID ნომერი: 405335098) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობების (# 01.14.03.042.171 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე განთავსებული ხუთსართულიანი შენობა 1/5 საკადასტრო გეგმის მიხედვით და # 01.14.03.042.198 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამსართულიანი შენობა 1/3 საკადასტრო გეგმის მიხედვით) რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს. საექსპერტო დოკუმენტაცია წარმოდგენილია შემდეგი ნაწილებით (წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორესა და ავთენტურობაზე პასუხისმგებელია დამკვეთი):

– არქიტექტურული ნაწილი, რომელიც დამუშავებულია საპროექტო ჯგუფის მიერ, წარმოდგენილია მუშა პროექტის სახით. პროექტის ავტორები გ. ძიძიკაშვილი და ს. მახარაძე.

– კონსტრუქციული ნაწილი, რომელიც დამუშავებულია შპს „გეოკონი“-ს საპროექტო ჯგუფის მიერ, წარმოდგენილია მუშა პროექტის სახით. პროექტის მთავარი ინჟინერი გ. ცომაია.

– „თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. #10, #10ბ, ს/კ 01.14.03.042.198, 01.14.03.042.171, ორი სამსართულიანი, ერთი ხუთსართულიანი და ერთი ერთსართულიანი შენობების რეკონსტრუქცია მშენებლობა. საინჟინრო- გეოლოგიური ანგარიში“ (შემსრულებელი შპს „კირკიტაძე და კომპანია“-ს ინჟინერ-გეოლოგი თ. კვეტენაძე).

საექსპერტოდ წარმოდგენილი არსებული კომპლექსიდან ერთ-ერთი, # 01.14.03.042.171 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე განთავსებული ხუთსართულიანი შენობა (შენობა 1/5 საკადასტრო გეგმის მიხედვით) მარტივი, სწორკუთხა ნაკვეთურებიანი „Г“-ს მაგვარი ფორმისაა, გაბარიტული ზომებით: სიგრძით 42,42 მ, ხოლო სიგანით 18,59 და 15,37 მ. შენობა ხუთსართულიანია. სართულების სიმაღლე 3,30 მ-ია, ხოლო სხვენში მოწყობილი ტექნიკური სართულისა კი 1,35 მ (იატაკიდან ჭერამდე). პირობით 0,000

ნიშნულად მიღებულია პირველი სართულის იატაკის ზედაპირი. სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ანაკრები რკინაბეტონის საფეხურებიანი ორმარშიანი შიგა კიბით, რომელიც განთავსებულია ნაკვეთურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. სახურავი ბრტყელია, ბურულად გამოყენებულია რბილი, რულონური საფარი. მეორე, # 01.14.03.042.198 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამსართულიანი შენობა (შენობა 1/3 საკადასტრო გეგმის მიხედვით). სამსართულიანი შენობის მაქსიმალური გაბარიტული ზომები გეგმაში არის 58,10X22,70 მ. სართულების სიმაღლე სხვადასხვაა: პირველი სართულის სიმაღლე 4,25 მ-ია, მეორე სართულის 4,30 მ, ხოლო მესამე სართულისა კი 3,90 მ. სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაკვეთურში არსებული ორმარშიანი შიგა კიბით. სახურავი ბრტყელია, ბურულად გამოყენებულია რბილი, რულონური საფარი.

საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის მიხედვით ტერიტორიის ლითოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ორი ფენა (მათ შორის ერთი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი, რომელზედაც დაფუძნებულია საექსპერტოს წარმოდგენილი შენობა): ნაყარი ფენის (ფენა 1) ქვეშ რომელიც წარმოდგენილია თიხნარის, კენჭების და ძირითადი ქანის ნატეხების ნარევით გავრცელებულია I სგე – ძნელადპლასტიკური კონსისტენციის თიხნარი (ფენა 2). გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები დეტალურად იხილე პროექტის გეოლოგიურ ნაწილში.

სამშენებლო ნორმებისა და წესების _ „სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01-09)-ს სეისმური საშიშროების რუქის დანართის მიხედვით მშენებლობისთვის გამოყოვილი უბანი მიეკუთვნება 8-ბალიანი სეისმური ინტენსივობის ზონას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტით A=0,17.

დაპროექტების ნორმების _ „სამშენებლო კლიმატოლოგია"-ს მიხედვით კი: (შესაბამისად ცხრილები 17 და 18):

_ თოვლის საფარის წონის ნორმატიული მნიშვნელობა შეადგენს – 0,50 კპა-ს (50 კგძ/მ2).

_ ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა შეადგენს 0,85 კპა-ს (85 კგძ/მ2), 15-წელიწადში ერთხელ.

_ გრუნტის სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე ყველა გრუნტისათვის 0-ის ტოლია.

შენობა ხასიათდება ხისტი საანგარიშო სქემით და მის ძირითად მზიდ ელემენტებს წარმოადგენს 1.090.1-1 სერიის ანაკრები რკინაბეტონის მსხვილბლოკური კონსტრუქციები: ბეტონის საკედლე ბლოკები და რკინაბეტონის ანტისეისმური სასარტყელე ბლოკები. სართულშუა და სასხვენო გადახურვები შესრულებულია 1.141.1-40ც ტიპიური სერიის ანაკრები რკინაბეტონის 220 მმ. სისქის ღრუტანიანი ფილებით და ეყრდნობა ანაკრები რკინაბეტონის 1.090.1-1 სერიის ანტისეისმურ სასარტყელე ბლოკებს. სამსართულიანი შენობა 1/3 ხასიათდება ხისტი საანგარიშო სქემით და მის ძირითად მზიდ ელემენტებს წარმოადგენს ჩვეულებრივი თიხის წითელი აგურის წყობა ქვიშა ცემენტის ხსნარზე, სისქით 1,5 აგური. სამშენებლო ნორმებისა და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09)-ის მე-15 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ზემოაღნიშნული წყობა შეიძლება მივაკუთვნოთ III-ტიპის წყობას: აგურის წყობა გაძლიერებული კომპლექსური კონსტრუქციებით, 6,0 მ-იანი ბიჯით, რომლებიც მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოების ღერძებზე, კედლებში ჩაშენებული მონოლითური რკინაბეტონის სვეტების სახით. სართულშუა გადახურვები შესრულებულია 1.141.1-40ც ტიპიური სერიის ანაკრები რკინაბეტონის 220 მმ. სისქის ღრუტანიანი ფილებით და ეყრდნობა მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოს რიგელებს. სამსართულიან შენობაში (შენობა 1/3) სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ერთსართულიანი შენობის გასწვრივ, ესოს მხრიდან მდებარე კიბის უჯრედიდან.

რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებულია: ხუთსართულიანი შენობის სხვენის სართულის და სხვენის იატაკის გადახურვის ფილების დაშლა; სახურავის დონეზე ახალი, ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილების მოწყობა; არსებულ, შუა მზიდ კედლებში ახალი ღიობების მოწყობა მონოლითური რკინაბეტონის ან ლითონით მოჩარჩოებით; პროექტით ასევე გათვალისწინებულია კიბის უჯრედიდან მარცხნივ მდებარე ნაკვეთურის დემონტაჟი და ახალი კარკასის მოწყობა ლიფტის მოსაწყობად; არსებული ღრუტანიანი ფილები გაძლიერებულია, თითეულ ფილაზე ორ-ორ ღრუ ტანში ვერტიკალური კარკასების ჩაბეტონებით. დაგეგმილი სარეკონსტრუქციო სამუშაოები ზეგავლენას ვერ მოახდენს მომიჯნავე შენობებზე (ჩრდილოეთიდან მდებარე # 01.14.03.042.198 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე განთავსებულ სამსართულიან და აღმოსავლეთიდან მდებარე # 01.14.03.042.198 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე განთავსებულ ერთსართულიან შენობებზე), რადგანაც

სარეკონსტრუქციო შენობა ორთავე მათგანიდან გამოყოფილია ანტისეისმური ნაკერებით.

სამსართულიან შენობაში (შენობა 1/3 საკადასტრო გეგმის მიხედვით) ძირითადად გათვალისწინებულია გადაგეგმარება, მზიდ კედლებში ახალი ღიობების მოწყობა კონტურების მოჩარჩოებით, ზოგიერთ ადგილებში არსებული სილიკატური აგურით შესრულებული კედლების გაძლიერება არმატურის ორმხრივი ბადეებით, თითეულ ფილაზე ორ-ორ ღრუ ტანში ვერტიკალური კარკასების ჩაბეტონებით და „რ/ს“ და „5*/6“ ღერძებს შორის ლითონის კიბის მოწყობა. სარეკონსტრუქციო შენობაზე ჩატარებული სამუშაოების მიმდინარეობა ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენს, რადგანაც მოსაზღვრე ნაკვეთურში გათვალისწინებულია მხოლოდ გადაგეგმარებითი სამუშაოები, ამორტიზირებული ტიხრების შეცვლა თაბაშირმუყაოს ფილებით მოწყობილი ახალი ტიხრებით.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალები შესწავლილ იქნა პროექტის კონსტრუქციულ ნაწილთან ერთობლიობაში, კონსტრუქციული ნაწილი კი დატალურად. პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანალიზური შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროექტი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

თავდაპირველად წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესწორებული იქნა ჩვენს მიერ 2021 წლის 4 ნოემბერს გაცემული შუალედური ანგარიშის № PC-m /04.11.2021 მიხედვით, რომელშიც აღნიშნული იყო თავდაპირველი ინსპექტირებისას გამოკვეთილი შენიშვნები, კერძოდ:

_ შტამპებში არ არის დაფიქსირებული ფურცლების ნუმერაცია, ხოლო ფურცლების რაოდენობად 41-ის ნაცვლად დაფიქსირებულია 84.

_ პროექტის მე-14 გვერდზე (კ-1 ფურცელზე მოცემული ნახაზების ჩამონათვალის მიხედვით ფურცელი კ-13) დამუშავებულია „ლითონის ჩარჩო ლჩ-2“-ის მოწყობის სქემა, სადაც ღიობის კონტურზე მოწყობილი ვერტიკალური კუთხოვანები შეკრულნი არიან ჰორიზონტალური ზოლანებით, რომელღთა ღერძებს შორის მანძილი 600 მმ-ია. ღიობის მოჩარჩოების ანალოგი შეგიძლია იხილოთ დამხმარე საცნობარო ლიტერატურის: ‘Реконструкция промышленных предприятий. Том 1. Справочник строителя. Москва. Стройиздат 1990“. 432-ე გვერდზე (სურათები 10.19 და 10.20) ან სხვა

ალტერნატიული ტექნიკური ლიტერატურის მიხედვით. ზემოხსენებული საცნობარო ლიტერატურის მე-10 თავის 10.6 პუნქტის მე-2 აბზაცის თანახმად მანძილი ჰორიზონტალურ ფურცლებს („ზოლანებს“) შორის უნდა იყოს გასაძლიერებელი ელემენტის კვეთის უმცირესი ზომის არაუმეტესი (ჩვენს შემთხვევაში არაუმეტეს 400 მმ-ისა) და არაუმეტესი 55 სმ-ისა.

გავეცანით კონსტრუქტორის პასუხებს ექსპერტიზის შენიშვნებზე. შენიშვნები გათვალისწინებულია და შესაბამისი შესწორებები დაფიქსირებულია ხელახლა წარმოდგენილ კორექტირებულ პროექტში.

წარმოდგენილი შესწორებული პროექტის მიმართ ინსპექტირებას პრეტენზია არ გააჩნია და ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი: /რამაზ აფხაძე/

დ ა ს კ ვ ნ ა:

ქ. თბილისში, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. #10 და #10ბ-ში, სს „საქსაშენმეცნიერება“ და შპს „მეცნიერება“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობების (# 01.14.03.042.171 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე განთავსებული ხუთსართულიანი შენობა 1/5 საკადასტრო გეგმის მიხედვით და # 01.14.03.042.198 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამსართულიანი შენობა 1/3 საკადასტრო გეგმის მიხედვით) რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილი შესრულებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად და ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი: /რამაზ აფხაძე/

ტექნიკური მენეჯერი: /დავით ჯიბლაძე/

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: /ლალი აბუაშვილი/

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმომწერი

GAC-IB-0306

ადასტურებს, რომ

შპს „პონტიკა“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მისამართი: ქ. თბილისი, შ. სულუბიძის №183/185;

შეფასდა და აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტაციის სფერო მოცემულია აკრედიტაციის მოწმობის დანართში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
19 მარტი 2021 წ.

ძალაშია
17 იანვარი 2023 წ.

ბ.ა.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა